

ოქმი #5
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს მორიგი სხდომის

2019 წელი, 25 თებერვალი
 ქ. ოზურგეთი
 11.00 – 13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
 საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები:
 გ.ღურჯუმელიძე, ლ. საჯაია, ლ.ბიგვავა, გ.კილაძე, გ.ჩაგანავა,
 ტ.არომიძე, ბ.დოლიძე, ლ.მგელაძე, შ.გოგიბერიძე,
 გ.ჩავლეშვილი, დ.ჭაკნელიძე.
 მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე -
 ალ.სურგულაძე.
 მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის
 პასუხისმგებელი მუშაკები.
 მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 12, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო დღის წესრიგი, რომლიც დაამტკიცეს ერთხმად.

საკითხების განხილვის დაწყებამდე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ: 1) მომდევნო ბიუროს სხდომაზე მუდმივმომქმედი კომისიების თავმჯდომარეებმა წარმოადგინონ კომისიების და შესაბამისი მერიის სამსახურების 2018 წელში გაწეული მუშაობის ანგარიშების ჩაბარების გრაფიკი; 2) მუნიციპალიტეტის მერიამ წარმოადგინოს მუნიციპალური შესყიდვების 2018 წლის ანგარიში.

ბიუროს წევრმა ლ.საჯაიამ ითხოვა ბიუროს სხდომების დღის მეორე ნახევარში დაგეგმვა.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N60 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: პავლე ჭყონია

გიორგი ჩაგანავა

ამ საკითხის განხილვისას ბიუროს წევრმა ლ.ბიგვაჟამ განაცხადა, რომ ბიუჯეტის ცვლილებების პროექტში ძირითადად შენარჩუნებული უნდა იყოს 1.35 მილიონი ლარის ის ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომელიც უკვე დამტკიცებულია.

ბიუროს წევრმა ლ.საჯაიამ განაცხადა, რომ აუცილებელია ბავშვთა ბაღების თანამშრომლებზე, რომელთაც დაბალი ხელფასები აქვთ გაიცეს ერთჯერადი პრემია. განუმარტეს, რომ გაივილიან საკითხს შესაბამისი ა(ა). ი.პ -ის ხელმძღვანელებთან. ბიუროს წევრ შ.გოგობერიძის აზრით, ბაღების თანამშრომლების ხელფასების თაობაზე უნდა ეცნობოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატს და მთავრობას.

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარემ, ტ.აროშიძემ გამოთქვა აზრი გარე განათების მოწყობის გაგრძელების აუცილებლობაზე იმ მიზნით, რომ მის გარეშე არ დარჩეს არც ერთი სოფელი და ქალაქის ქუჩა.

საკრებულოს წევრმა მ.ჩხიკვიშვილმა ასევე დააყენა საკითხი, გარე განათებისა და ბაღების თანამშრომელთა ხელფასის გაზრდაზე.

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე

ლაშა თავაძე

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ირაკლი სირაძე

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: ალექსანდრე სურგულაძე

თემურ გიორგაძე

ამ საკითხზე ბიურომ გადაწყვიტა საკრებულოს დღის წესრიგში შეტანა და შესაბამის კომისიებში საკრებულოს სხდომამდე განხილვა.

5. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2018 წელს დამტკიცებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

თანამომხსენებელმა გ.ღურჯუმელიძემ ბიუროს წევრებს მოკლედ გააცნო აუდიტის დასკვნა და რეკომენდაციები, ასევე მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განსახორციელებელი ზედამხედველობის შესახებ. ისაუბრა საკრებულოს წევრების უფლებამოვალეობების განსახორციელებელი ხარჯების, მუნიციპალიტეტის ავტოპარკის, უძრავი ქონების განკარგვასა და სხვა დარღვევებზე, რომელიც დასკვნაშია მოცემული. განაცხადა, რომ უძრავ ქონებაზე საკრებულო დაელოდება გამოძიების შედეგებს და შემდგომ, საჭიროების შემთხვევაში, კვლავ იმსჯელებს მასზე. ამასთან საკრებულო კანონმდებლობის შესაბამისად დააწესებს ზედამხედველბას რეკომენდაციების შესრულებაზე.

ბიუროს წევრმა შ.გოგიბერიძემ გამოთქვა აზრი, რომ მოსახლეობა სწორად უნდა იყოს ინფორმირებული სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის თაობაზე, ხოლო ბიუროს წევრმა ლ.ბიგვაძემ განაცხადა, რომ სასწრაფოდ უნდა შემუშავდეს მუნიციპალიტეტის ავტოპარკის საქმიანობის წესი.

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0.5%-ის მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის, სოფელ ლიხაურში საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტის მოთხოვნასთან დაკავშირებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის ინფორმაციის წარდგენის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ირაკლი სირაძე

ამ საკითხზე ბიურომ ცნობად მიიღო მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაცია პეტიციაში მოყვანილი სამუშაოების განხორციელების თაობაზე, რომელზეც ინფორმაციას მიაწვდიან პეტიციის ავტორებს.


საკითხების განხილვის შემდეგ განცხადება გააკეთა საკრებულოს წევრმა მ.ჩხიკვიშვილმა საკრებულოს წევრის ეთიკის კოდექსის შემუშავების განახლებისა და მიუსაფარი ცხოველების პრობლემის გადაწყვეტის გზების დასასახავად, საკრებულოსთან სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე.

გადაწყვეტის:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს დღის წესრიგში წარმოდგენილი N1, 2, 3, 4 და 5 საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში ბიუროს სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებისა და შესაბამის კომისიებში განხილვისა და დასკვნების წარმოდგენის შემდეგ (N4 საკითხი).

2. ცნობად იქნეს მიღებული მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაცია პეტიციაში მოყვანილი სამუშაოების განხორციელების თაობაზე, რომელზეც ინფორმაცია მიეწოდოს პეტიციის ავტორებს.

დავით დარჩია



საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო